საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 286-02
13/02/2018

რექტორის 2018 წლის 2 თებერვლის N203-02 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

რექტორის 2018 წლის 2 თებერვლის N203-02 ბრძანების სათაურსა და პირველ პუნქტში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ ქიმია, ბიოქიმიის მიმართულების ნაცვლად ჩაწერილი იყო ქიმია, ბიოლოგია.
"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი, მე-6 პუნქტის, 32-ე მუხლის და 33-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, 2013 წლის 25 სექტემბრის წარმომადგენლობითი საბჭოს მე-13 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების წესის და აკადემიურ თანამდებობებზე დასაქმების პირობების" საფუძველზე, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის დეკანის დ. თარხნიშვილის 2018 წლის 30 იანვრის N1380-35 წარდგინების, აკადემიური საბჭოს 2018 წლის 1 თებერვლის N1 ოქმის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა რექტორის 2018 წლის 2 თებერვლის N203-02 ბრძანების სათაურში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე ქიმია, ბიოქიმიის მიმართულებით პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე** კონკურსის გამოცხადების შესახებ".

2. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა რექტორის 2018 წლის 2 თებერვლის N203-02 ბრძანების პირველ პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1.2018 წლის 8 თებერვლიდან გამოცხადდეს ღია კონკურსი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის **საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე ქიმია, ბიოქიმიის მიმართულებით პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე;"**

3. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საიტზე.
4. კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა შემდეგი სტრუქტურებისათვის: საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

გიგა ზედანია

რექტორი